შიდაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№42 (10.147)

16—23 ნოემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ზეთისხილის საწარმოს მშენებლობა დაიწყო

ტარიბანაში გაუდაბნოების პირას მყოფი ველის წალკოტად ქცევის ჩანაფიქრი ბიზნესმენმა გიორგი სვანიძემ რამდენიმე წლის წინ პატრიარქის კურთხევით განახორციელა. საქმე იმდენად კარგად წავიდა, რომ ბაღის გაშენების შემდეგ გადამამუშავებელი ქარხნის აშენება გახდა საჭირო. წარმოების გაზრდის მიზნით, კომპანია „ქართული ზეთისხილი“ დედოფლისწყაროში ახალი საწარმოს მშენებლობას იწყებს. საწარმო ბაზარზე ზეთის ხილის ზეთსა და მარინადს გამოუშვებს. დედოფლისწყაროში 1500 ჰექტარზე ზეთის ხილის ბაღია გაშენებული, სადაც წელს 400 ტონამდე მოსავალს ელიან. ამ კულტურას ქვეყანაში გაშენებული ფართობის ნახევარი სწორედ დედოფლისწყაროში უჭირავს და მხოლოდ ტარიბანაში მილიონზე მეტი ძირი ზეთისხილია დარგული. თანამედროვე ტიპის საწარმო უკვე მოქმედებს სიღნაღში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, ზეთისხილის ახალი საწარმოს მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, სიმბოლური კაფსულა კომპანიის „ქართული ზეთისხილი“ ხელმძღვანელ გიორგი სვანიძესთან ერთად ჩაუშვა. საწარმოს ტერიტორიაზე გამართულ ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე ითქვა, რომ საწარმოში იგეგმება უმაღლესი ხარისხის Extra Virgin ზეთისხილის ზეთისა და მარინადის წარმოება, რომელიც მოამარაგებს როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებს.

„სახელმწიფოს მხარდაჭერით, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, 3000 ჰა-ზე მეტ ფართობზე გაშენდა ზეთისხილის ბაღები. მათი დიდი ნაწილი სწორედ დედოფლისწყაროშია გაშენებული. ყოველ წელს ველოდებით მზარდ მოსავალს. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ პროდუქციის ადგილზე გადამუშავება, რაც ქმნის დამატებით ღირებულებას. ასევე მნიშვნელოვანია პროდუქციის რეალიზაცია. ახალი საწარმო ამ პროცესს კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს, დაასაქმებს მეტ ადამიანს და რეგიონში მეტ ფერმერს მოუტანს კეთილდღეობას“, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

როგორც კომპანიის „ქართული ზეთისხილი“ ხელმძღვანელმა **გიორგი სვანიძემ** ცერემონიაზე აღნიშნა, სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერით ზეთისხილის ბაღი გააშენა, სადაც მილიონი ხე დარგო. ბაღის მიმდებარე ტერიტორიასთან ახალი საწარმოს მშენებლობა 9 თვეში დასრულდება.

საწარმო იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ამავდროულად, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, სადაც შესაძლებელი იქნება საქართველოში მოყვანილი ზეთისხილის მოსავლის სრული გადამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ამ კულტურის კიდევ უფრო განვითარებას ქვეყანაში; შეიქმნება დამატებით 250-მდე სამუშაო ადგილი და უმეტესად ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

„ვვარაუდობთ, რომ ჩვენს მიერ ჩამოტანილი ბოლო მოდელის ტექნიკა შესაძლებლობას მოგვცემს ახლადაშენებულმა საწარმომ დღეში 250 ტონა მოსავალი გადაამუშაოს. ამით იმის თქმა მინდა, რომ დედოფლისწყაროს საწარმო სიმძლავრით 20-ჯერ უფრო მძლავრი იქნება, ვიდრე ჩვენი პირველი ქარხანაა. ყველა ნერგი და საწარმოს ყველა დეტალი სახელმწიფოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური დახმარებით შეიქმნა. რომ არ ყოფილიყო სახელმწიფო პროგრამები: „დანერგე მომავალი“ და „აწარმოე საქართველოში“, ამას ვერ შევძლებდით. მსოფლიოში ზეთის ხილის მწარმოებელი 48 ქვეყანაა. ხელისუფლების დახმარებით ჩვენ ასევე გავხდით გაეროს ორგანიზაციის საბჭოს წევრი, რაც სხვა შესაძლებლობებსაც გვაძლევს. ის, რომ ზეთისხილი სასარგებლოა, ჩვენ ამის პოპულარიზაციაზე ვიზრუნებთ და აუცილებლად გავზრდით ხარისხს, რომ მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქცია გვქონდეს. ხარისხი გვაქვს ისეთი, რომ მსოფლიოში ქართული ზეთისხილი უკვე აღიარეს 5 საუკეთესოს შორის. ეს დიდი წარმატებაა, რადგან ესპანეთის, იტალიის, საბერძნეთის გვერდით დგას ქართული პროდუქცია. კლიმატმა და ქართულმა მიწამაც ხელი შეგვიწყო და ეს ყველაფერი 10 წელში შევძელით. მე ასევე ვარ პატრიარქის ფონდი „გაამწვანე საქართველო“-ს თავმჯდომარე და უწმინდესი მუდმივად მთხოვდა, რომ ზეთის ხილის მოშენებაზე მეფიქრა,“ — აღნიშნავს გიორგი სვანიძე.

„ახლო წარსულში საქართველო მთლიანად იყო ზეთისხილის 100%-ით იმპორტიორი ქვეყანა. უცხოური ბაზრებიდან შემოდიოდა როგორც ზეთისხილი, ისე მისი ზეთი. ვითარება ძალიან მოკლე დროში შეიცვალა. ახლა კი როგორც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, ქართული წარმოება აკმაყოფილებს როგორც ქართულ ბაზარს, ასევე აქტიურად გადის საერთაშორისო ბაზრებზე, წარმატებით ხორციელდება ქართული ზეთისხილის და ზეთის ექსპორტი სხვადასხვა ქვეყნებში, ხოლო ჩვენი მწარმოებლები ცდილობენ ამ ბაზრების ზრდას. ამას გარდა, დედოფლისწყაროსთვისაც მნიშვნელოვანია ამ მასშტაბის საწარმოს მშენებლობა, რადგან ძირითადად ადგილობრივების დასაქმებაზე იქნებიან ორიენტირებულნი და ჩვენს მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი ობიექტი შეემატება,“ — ამბობს დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

მიმდინარე წელს დედოფლისწყაროში სვანიძის ზეთისხილის ბაღები კიდევ უფრო გაფართოვდა. რამდენიმე ასეულ ჰექტარზე ახალი ნერგები გაშენდა. როგორც კომპანიაში ამბობენ, დასარგავად ინოვაციური მეთოდი გამოიყენეს და დამრგველი ტექნიკით გააშენეს, რაც საქართველოში პირველად გამოიყენეს.

საქართველო "ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს" (IOC) წევრი ქვეყანაა, გიორგი სვანიძე კი, ამ ასოციაციის ორგზის არჩეული პრეზიდენტია. ქართულმა ზეთისხილის ზეთმა მსოფლიო ზეთისხილის რუკაზე 48 ზეთისხილის მწარმოებელ ქვეყნებს შორის საპატიო ადგილი დაიკავა. სვანიძის ზეთისხილის დამსახურებით, საქართველო გამოჩნდა ზეთისხილის მწარმოებელი ქვეყნების გლობალურ ასპარეზზე/რუკაზე.

საქართველოში მოწეული ზეთისხილი გამორჩეულია ზეთისა და მარინადის მაღალი ხარისხით, ექსტრაქციის კოეფიციენტით და ორმაგი დანიშნულებით: ზეთის და მარინადის დასამზადებლად.

ილია მარტყოფლიშვილი

შალვა პაპუაშვილმა ვაშლოვანის ნაკრძალი დაათვალიერა

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი 10 ნოემბერს დედოფლისწყაროს სტუმრობდა, სადაც არასამუშაო დღე ვაშლოვანის ნაკრძალში გაატარა. ის უჩვეულო ლანდშაფტით იმდენად მოიხიბლა, დაწერა, რომ ვაშლოვანი ბუნების საოცრებაა და ეს ყველამ უნდა ნახოს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, პაპუაშვილი დაცულ ტერიტორიებს ოჯახთან ერთად არასაქმიანი ვიზიტით ესტუმრა და მის ფლორასა და ფაუნას ადგილზე გაეცნო. მას თან ახლდნენ კახეთის გუბერნატორი გიორგი ალადაშვილი, დედოფლისწყაროს დელეგატი პარლამენტში დავით სონღულაშვილი და დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

„დედოფლისწყაროს რაიონის ნამდვილი მშვენება - ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალია. ალაზნის ჭალები და თვალწარმტაცი ნახევრადუდაბნო, საკმლის ხეები და გადაშენებული ქურციკების ხელახლა აღდგენილი პოპულაცია. ბუნების საოცრება, რომელიც ყველამ უნდა ნახოს“ - დაწერა პაპუაშვილმა სოციალურ ქსელში და ვიზიტის ამსახველი ვიდეო გაავრცელა.

ხელისუფლების წარმომადგენლებს მეგზურობას უწევდნენ ნაკრძალის რეინჯერთა სამსახურის უფროსი ვაჟა ჩერქეზიშვილი და ადგილობრივი ექსპერტი ამირან კოდიაშვილი.

შირაქი

მოქალაქეები მიწის ნაკვეთების უფასოდ რეგისტრაციას 2026 წლამდე შეძლებენ

სასოფლო-სამეურნეო მიწის სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამის ვადა გახანგრძლივდა. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრის პირველი ნოემბრის ბრძანებაშია აღნიშნული.

კერძოდ, უწყების გადაწყვეტილების პროგრამა დაგეგმილთან შედარებით ერთი წლით მეტხანს გაგრძელდება და მოქალაქეები მიწების რეგისტრაციას მომავალ წელსაც შეძლებენ.

შეგახსენებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების უფასო რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში, პროცესი 2025 წლის პირველ იანვრამდე უნდა დასრულებულიყო. მიმდინარე წლის 1-ელი ნოემბრის დადგენილების თანახმად კი, სისტემური რეგისტრაცია 2026 წლის პირველ იანვრამდე გაგრძელდება.

ცნობისთვის, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, 2022-2024 წლებში სისტემური წესით 1.2 მილიონი ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება. რეგისტრაცია მიმდინარეობს 59 მუნიციპალიტეტში და ხორციელდება საქართველოს ყველა კონტროლირებად ტერიტორიაზე, გარდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთისა.

უკანონო ნადირობის 12 ფაქტი კახეთში, 2 დედოფლისწყაროში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონის გახსნიდან ორ თვეში უკანონო ნადირობის 400 ფაქტი გამოავლინეს. კახეთის მასშტაბით მწყერის მონადირების შემთხვევები დაფიქსირდა დედოფლისწყაროში, სადაც ასევე მოსაკრებლის გადახდის გარეშე ნადირობის ორი შემთხვევაა აღრიცხული.

უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი - 96 ფაქტი დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთში. 91 სამართალდარღვევაა გამოვლენილი იმერეთში, 58 - შიდა ქართლში, 46 - მცხეთა-მთიანეთში, 37 - ქვემო ქართლში, 35 - გურიაში, 12 - კახეთში, ასევე 12 - სამცხე-ჯავახეთში, 7 - აჭარაში, 2 კი - რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში.

გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან 382 აკრძალული იარაღით ან მეთოდით ნადირობის ფაქტებია. 18 შემთხვევაში სამართალდამრღვევები გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის გარეშე ნადირობდნენ, აქედან ორი ასეთი შემთხვევა დედოფლისწყაროშია რეგისტრირებული, სადაც ბრაკონიერებმა უკანონოდ მოინადირეს ჯამში 27 ერთეული მწყერი.

ნადირობის სეზონის დაწყებიდან 2 თვეში ამოღებულია 381 ერთეული ფრინველის მოსაზიდი ხელნაკეთი ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული მოწყობილობა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკანონო ნადირობის 4 ფაქტი აღკვეთეს ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც.

უკანონო ნადირობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ნადირობის სეზონის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებენ. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე 153 შესულ თითოეულ შეტყობინებაზე.

შირაქი

სად იგეგმება ჰესების აშენება კახეთში

სახელმწიფო ელექტროსისტემამ გამოაქვეყნა იმ ჰესების ჩამონათვალი, რომელთა აშენებაც შემდეგ ათ წელში იგეგმება.

ჯამში, სახელმწიფო 2034 წლისთვის საქართველოს ენერგოსისტემის სიმძლავრის გაორმაგებას გეგმავს. კერძოდ, გადამცემი ხაზების განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, დადგმული სიმძლავრე ათ წელში 10 336 მეგავატამდე უნდა გაიზარდოს. აქედან 7 ათას მეგავატზე მეტი ჰიდროსადგურები უნდა იყოს. 200-ზე მეტი ჰესის აშენება იგეგმება. 2025 წელს ექსპლუატაციაში გაეშვება 2 — სტორისა და ლოპოტას ჰესები.

პერსპექტიული ჰესების ჩამონათვალი კახეთის რეგიონში:

სტორი 1 ჰესი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 31.12.2025 წელი

ლოპოტა 1 ჰესი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 31.12.2025 წელი

ხადორი 3 ჰესი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 31.12.2026 წელი

პალდო ჰესი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 31.12.2027 წელი

ილტო ალაზნის კასკადი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 31.12.2029 წელი

კაბალი 1 ჰესი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 31.03.2029 წელი

სტორი 3 ჰესი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 31.12.2029 წელი

ახალსოფელი ჰესი - ექსპლუატაციაში გაშვების სავარაუდო თარიღი: 07.04.2030 წელი

ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების დამონტაჟება სავალდებულო გახდება

ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში, რომლებიც მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს, სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობები დამონტაჟდება.

„ბიზნესპრესნიუსთან“ ფონდ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოების“ დირექტორი ირაკლი იზორია აცხადებს, რომ რეგულაცია მიზნად ისახავს მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანას.

მისი თქმით, გარდა სიჩქარის შემზღუდავებისა, აღნიშნული ტიპის მიკროავტობუსებსა და ავტობუსებში ტაქოგრაფებიც დამონტაჟდება.

„წლებია არსებობს პრობლემა საქალაქთაშორისო მგზავრთგადაყვანასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდებოდა მიკროავტობუსების მონაწილეობით, შედარებით ნაკლები იყო ავტობუსების მონაწილეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ევროდირექტივები უნდა გაითვალისწინოს საქართველომ, არის სიჩქარესთან დაკავშირებით მთელი რიგი რეგულაციები, ერთ-ერთი არის სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობის ქონა.

ასევე, ვიცით, რომ ტაქოგრაფებიც უნდა ჰქონდეთ. ეს არის ე.წ. სისტემა, რომელიც ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში აყენია და პატრულს შეუძლია 30 დღის განმავლობაში ამოიღოს მონაცემები და ნახოს, სად გადააჭარბა მძღოლმა სიჩქარეს, დაისვენა თუ არ დაისვენა და ა.შ. ეს სიჩქარის შემზღუდავები იქნება ტაქოგრაფთან ერთად,“ - აღნიშნავს იზორია.

რაც შეეხება ვადებს, იზორიას თქმით, ტაქოგრაფებისა და სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების დაყენების ვალდებულება, 2025 წლიდან ავტოსადგურების რეგულაციების ამოქმედების პარალელურად განხორციელდება.

„მისასალმებელია მსგავსი რეგულაცია, რადგან ყველგან არ არის ვიდეო კონტროლი და ყველგან ვერ ხდება მონიტორინგი, ზოგიერთი ადგილი, ფაქტობრივად, დაუფარავია პატრულის მიერაც და ასეთ გზებზე მხოლოდ კრიმინალური პოლიციის მიერ ხდება აღსრულება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მსგავსი მოწყობილობები იყოს და კონტროლი ხორციელდებოდეს.

რეგულაცია ვრცელდება ავტობუსებსა და მიკროავტობუსებზე, რომლებიც მგზავრთა გადაყვანას ახორციელებენ. რეგულაცია იმოქმედებს ნებისმიერ მანძილზე მოძრავი ტრანსპორტისთვის. რაც შეეხება ვადებს, წესით უკვე უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ დროში იგვიანებს. წესით 2025 წლიდან ავტოსადგურების და სხვა რეგულაციები რომ შევა ძალაში, მაშინ მაინც ამოქმედდება,“ - განაცხადა ირაკლი იზორიამ.

დაგესვლის მეექვსე შემთხვევა დედოფლისწყაროში

დაგესვლის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. გასულ კვირას სოფელ ფიროსმანში გველმა 60 წლამდე კაცი დაკბინა. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში გაზეთ „შირაქს“ ეუბნებიან, რომ მიმდინარე წელს ეს დაგესვლის მეექვსე შემთხვევაა. დაკბენილს აღმოუჩინეს დახმარება და ამ დროისთვის თავს კარგად გრძნობს.

„როგორც სოფელში ამბობენ, საქონელს მწყემსავდა და ამ დროს ქვეწარმავალმა დაკბინა, დროულად მიხედეს და ახლა მამაკაცი კარგადაა,“ — აცხადებენ სოფელ ფიროსმანში.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი მარიეტა გონაშვილი ამბობს, რომ ნოემბრის თვეში ადამიანის დაგესვლის შემთხვევები აქამდე არ დაფიქსირებულა და ეს პირველი შემთხვევაა. მათი განმარტებით, დედოფლისწყაროში გველის შხამის საწინააღმდეგო ვაქცინა რამდენიმე ობიექტზე ვადების დაცვით ინახება.

„დაგესვლის შემთხვევები ძირითადად ზაფხულის ცხელ დღეებში ფიქსირდება ხოლმე, წინა წლებში შემოდგომის ბოლო თვეში გველის ნაკბენის შემთხვევა არასოდეს გვქონია. ამჯერად კი ნოემბრის პირველ ნახევარში გვქონდა ერთი შემთხვევა. დროულად მიაკითხა ექიმს, პაციენტი ნახა ქირურგმა და გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება. ნაკბენის მიხედვით დადგინდა, რომ ქვეწარმავალი არ უნდა ყოფილიყო გიურზა, ამდენად ქირურგის გადაწყვეტილებით, მას ვაქცინაცია არ ჩატარებია. სათანადოდ დაუმუშავდა ჭრილობა და მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა“ — აღნიშნავს მარიეტა გონაშვილი.

მიმდინარე წელს დაგესვლის 6 შემთხვევა აღირიცხა სოფლებში სამთაწყაროში, არხილოსკალოსა და ფიროსმანში. ადამიანის დაგესვლის ლეტალური შემთხვევები დედოფლისწყაროში 2011 წლის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა. 2011 წელს 3 წლის ბიჭი, ამილ გასანოვი გველის შხამის საწინააღმდეგო შრატის არარსებობას ემსხვერპლა, ხოლო 2010 წელს სოფელ ფიროსმანში 34 წლის ნარგიზ ხოზრევანიძე იმ მიზეზით გარდაიცვალა, რომ გველის შხამი პირდაპირ არტერიაში მოხვდა, ორგანიზმში სწრაფად გავრცელდა და რეაგირება ვერ მოესწრო.

შირაქი

ქართული ღვინის წარდგენა იტალიაში

ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაციის „ქართული ღვინო“ მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანია იტალიაში მერანოს ღვინის ფესტივალში მონაწილეობდა. მათ შორის იყო დედოფლისწყაროში მოქმედი ღვინის საწარმო „ბოსტოღანა“. ფესტივალის ფარგლებში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაციაც გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახლების ღვინოები, მათ შორის, ქვევრის ღვინის და საფერავის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ღვინოები.

ღონისძიებას ღვინის პროფესიონალები და ჟურნალისტები დაესწრნენ. დეგუსტაციას იტალიელი სომელიე გუიდო ინვერნიცი უძღვებოდა.

„ძალიან ამაღელვებელია ისეთი ღვინის დაგემოვნება, რომელსაც 8000-წლიანი დაყენების ისტორია აქვს. ქართული ღვინო მსოფლიოში უფრო და უფრო ცნობილი ხდება, რაც მის მაღალ ხარისხზე მიანიშნებს. საქართველოში გვხვდება ღვინის დაყენების როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მეთოდები. ბოლოს, როდესაც საქართველოში ვიმყოფებოდი, დავაგემოვნე რაჭა-ლეჩხუმის ალექსანდროულის და მუჯურეთულის ჯიშის ღვინოები. მე ახლაც მახსოვს მისი გემო, ვიმედოვნებ, რომ ამ ჯიშის ღვინოებს აქაც ვიპოვი“, – აღნიშნა გუიდო ინვერნიციმ, რომელიც იტალიის სომელიეთა ასოციაციის წევრია.

33-წლიანი ისტორიის მერანოს ღვინის ფესტივალი მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთი გამორჩეული ფესტივალია, რომელსაც ევროპის ღვინის მწარმოებლები და ექსპერტები ესწრებოდნენ.

როგორც ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ქართული ღვინის პოზიციონირება აღნიშნულ ფესტივალზე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის აჩვენებს, რომ ღვინის სამშობლოდ აღიარებული საქართველო, რომელსაც ღვინის წარმოების 8000-წლიანი ისტორია აქვს, დღესაც ღირსეულ ადგილს იკავებს მსოფლიო ბაზრებზე და მუდმივად ვითარდება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, მერანოს ღვინის ფესტივალის ფარგლებში, ქართული ქვევრი, როგორც იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იტალიის ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ცენტრში დაიდგა.

გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს ღვინის კომპანია „ბოსტოღანას“ დამფუძნებელს სიმონ ბოსტოღანაშვილს ესაუბრა და მათი სამომავლო გეგმებითა და მიზნებით დაინტერესდა.

სიმონ ბოსტოღანაშვილი: „ერთი სივრცე მთლიანად ქართულ ღვინოს ეთმობოდა. ბევრი სტუმარი გვყავდა როგორც ჩვენ, ისე სხვა ქართულ მწარმოებლებს. ასევე იყო დეგუსტაცია, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ პროფესიონალები. წაღებული გვქონდა სამი სახის ღვინო. ამჯერად წარვადგინეთ 2022 წლის რქაწითელი და საფერავი, ასევე 2021 წლის ქისი. საფერავმა დიდი მოწონება დაიმსახურა. შემფასებელი მეორე დღესაც გვეწვია და კარგი შეფასება მოგვცა. დაგემოვნა ჩვენი ქისიც და ასევე კარგად შეაფასა. ეს აღიარება ძალიან სასიამოვნო იყო ჩვენთვის. იტალიაში გამგზავრებისას ჩვენი ინტერესი იყო, რომ სამომავლოდ ექსპორტისთვის ჩვენი პოტენციური პარტნიორები გვეპოვნა როგორც იტალიაში, ისე ევროპის ქვეყნებში. შევხვდით რამდენიმე წარმატებულ დისტრიბუტორს, მოგვიწონეს ღვინის ნიმუშები, გავცვალეთ საკონტაქტო მონაცემები და გვექნება აქტიური კომუნიკაცია, რათა თანამშრომლობაში გადაიზარდოს. ყველაფერი კარგად ორგანიზებული იყო, კმაყოფილები დავბრუნდით. რა მიზანიც გვქონდა დასახული, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად მივაღწიეთ. ამ ღონისძიების პარალელურად გვერდით სივრცეში კულინარიული ფესტივალიც ტარდებოდა, ამის გამო უფრო დიდი ხალხმრავლობა იყო. იქ რომ იკვებებოდნენ, შემდეგ ღვინის განყოფილებაში გადმოდიოდნენ და აგემოვნებდნენ ქართულ ღვინოს, ამიტომ ძალიან პოზიტიური გარემო იყო. ევროპის მასშტაბით წარმოებული ძალიან დიდი რაოდენობის ნიმუშები იყო წარმოდგენილი. ბევრი კარგი ღვინო იყო სხვადასხვა ქვეყნიდან, შესაძლებლობა მოგვეცა გაგვეცნო ერთმანეთი. უკვე ვიცით, ვის რა ტექნოლოგია და პროდუქცია აქვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ევროპაში ბევრად განსხვავებული ღვინოა, ვიდრე ჩვენი წარმოებული და ჩვენი მიზანიც ეს იყო, რომ ტრადიციული ქართული ღვინო უკეთესად გაეცნოთ.



ვენახები გვაქვს ტიბაანის მიკროზონაში, ქუმბათს რომ ვუწოდებთ. ამ ეტაპზე 4 სახეობის ყურძენი გვაქვს: რქაწითელი, საფერავი, ქისი და კახური მწვანე. არსებობის მცირე ხნის მანძილზე ჩვენმა ღვინოებმა უკვე დაიმსახურეს ჯილდოები: ქისი 2021- ოქროს მედალი ექსპო ჯორჯიაზე; საფერავი 2022 - IWSC ბრინჯაოს მედალი; რქაწითელი 2022 - ბრინჯაო ექსპო ჯორჯიაზე.

უახლოეს გეგმებს რაც შეეხება, ნოემბრის ბოლოს უკვე მეორედ გავდივართ ბრიტანულ კონკურსში IWSC, რომელიც საქართველოში ტარდება და გასულ წელსაც ვმონაწილეობდით. ასევე, მარტში ვგეგმავთ გერმანიაში გავიტანოთ, სადაც მხოლოდ პროფესიონალები დაესწრებიან. (მერანოში ღვინის მომხმრებლებიც იყვნენ დაშვებულები) აქამდე ჩვენ ყველა კონკურსი და ფესტივალი საქართველოში გვქონდა და იტალიაში პირველად გავედით, საკუთარი სახსრებით და ღვინის საგენტოს ხელშეწყობით.

ილია მარტყოფლიშვილი

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა დაიწყო

14 ნოემბერს ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერა დაიწყო, რომელიც ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ტარდება.

საქსტატის ინფორმაციით, მონაცემთა შეგროვების პროცესი 19 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

აღწერა ორ ეტაპად ჩატარდება: პირველ ეტაპზე, 14 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, მონაცემები შეგროვდება თვითრეგისტრაციის მეთოდით (CAWI). თვითრეგისტრაციის დროს რესპონდენტები დამოუკიდებლად, ინტერვიუერების გარეშე, კომპიუტერის/პლანშეტის/სმარტფონის მეშვეობით, სტანდარტული ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენებით, ელექტრონულად ავსებენ კითხვარებს მათთვის სასურველ დროსა და ადგილზე. აღნიშნული მეთოდი ხელსაყრელია იმ რესპონდენტებისთვის, რომელთაც არ სურთ ინტერვიუერის სახლში სტუმრობა ან/და არ აქვთ საკმარისი დრო პირისპირ ინტერვიუსთვის. ელექტრონული კითხვარის შესავსებად მსურველებმა უნდა გაიარონ მარტივი რეგისტრაცია საქსტატის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებ-პლატფორმაზე, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე https://census2024.geostat.ge/ka. ელექტრონული კითხვარის შევსების შემდეგ რესპონდენტები მიიღებენ სპეციალურ კოდს, რომელიც უნდა წარუდგინონ მათთან მისულ საქსტატის ინტერვიუერს.

მეორე ეტაპზე, 29 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, მონაცემები საქსტატის 12 000-მდე ინტერვიუერის მიერ, კარდაკარის პრინციპით, პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით შეგროვდება. მოსახლეობის აღწერასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო აღწერაც ჩატარდება. სოციალური და დემოგრაფიული სახის მონაცემებთან ერთად, სპეციალური კითხვარის მეშვეობით შეგროვდება ინფორმაცია ოჯახების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის, ოჯახების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შესახებ, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტების, ტერიტორიული ერთეულების და სოფლების დონეზე.



საქსტატის განცხადებით, საქართველოს ყველა მოქალაქე, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე (რომლებიც საქართველოში დარჩენას გეგმავენ 12 თვეზე მეტხანს) და მოქალაქეობის არმქონე პირი (რომლებიც საქართველოში დარჩენას გეგმავენ 12 თვეზე მეტხანს) ვალდებულია გაიაროს აღწერა. აღწერის შედეგად მიღებული იქნება უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საარსებო წყაროებისა და საცხოვრისების შესახებ. ასევე, სასოფლო-სამეურნეო კომპონენტის მეშვეობით შეგროვდება მონაცემები შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ.

დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, მოსახლეობის აღწერასთან ერთან ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო აღწერაც. სოციალური და დემოგრაფიული სახის მონაცემებთან ერთად, სპეციალური კითხვარის მეშვეობით შეგროვდება ინფორმაცია შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ. კერძოდ, შეგროვდება მონაცემები შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტების, ტერიტორიული ერთეულების და სოფლების დონეზე.

აღწერის წინასწარი შედეგები 2025 წლის ივნისში გამოქვეყნდება, ხოლო საბოლოო – 2026 წლის ივნისის თვეში.

census2024.geostat.ge

„ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ"

ვის რაში სჭირდება პოეზია დღეს?–ეს არის შეკითხვა, რომელსაც სწორედ ასეთი უხეში ფორმით ხშირად გაიგონებთ და არა მხოლოდ იმ ხალხისაგან, ვისაც პოეზიის მნიშვნელობა უბრალოდ არ ესმის, არამედ თვითონ პოეტებისგანაც კი, რომლებიც არცთუ იშვიათად სკეფსისს ეძლევიან და საკუთარი უმნიშვნელობა თავიანთ საქმეზე გულის აყრისაკენ უბიძგებთ.

„ფაქტია, რომ დღეს მთელ მსოფლიოში პოეზიას სულ უფრო ნაკლები ადამიანი ეტანება. ამ მოვლენას ბევრი მიზეზი აქვს და, რა თქმა უნდა, ყველაზე ნაკლები აქ სწორედ მატერიალური თუ მატერიალისტური მიზეზია: ის, რომ რასაც ფიზიკურად ვერ მოიხმარ, საინტერესოც აღარ არის. პოეზიით ვერ დანაყრდები, ვერ შეიმოსები, ვერ გათბები, ვერ გაგრილდები, ერთი სიტყვით, კომფორტს ვერ შეიქმნი, პირიქით: პოეზია მუდმივად ცდილობს გამოგათრიოს შენი შექმნილი კომფორტის ზონებიდან და სამყაროში საკუთარი ტრაგიკული დანიშნულების გაცნობიერებისაკენ მიგაბრუნოს.

ეს კი, დამეთანხმებით, რთული და არცთუ სასიამოვნო პროცესია.

აღნიშნული მიზეზი სასაცილოდ არ ეყოფა დღევანდელ ობივატელს, რომლისთვისაც პოეზია, დიდი-დიდი, სუფრის სადღეგრძელოს სამშვენისი შეიძლება იყოს, პათეტიკური თუ ურაპატრიოტული სიტყვების რახარუხი, რომლითაც, სინამდვილეში, სულიერი სიცარიელე გველაპარაკება.

მეორე მხრივ, სწორედ ამ მომხმარებლურმა დამოკიდებულებებმა ადამიანის ეგოისტური მისწრაფებები უკიდურესად გაამძაფრა და ამით თითოეული ჩვენგანი ისეთ მარტოობაში გამოგვკეტა, რომ ამ ტრაგიზმის გადმოსაცემად ნებისმიერი ხმოვანი შეტყობინება უძლური აღმოჩნდა და პოეზია ახალი ფორმებისა და საშუალებების, სრულიად განსხვავებული გამომსახველობითი ენის მოძიების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

შესაბამისად, რადიკალურად შეიცვალა თვითონ პოეტის დანიშნულების გაგებაც საზოგადოებაში.

შუა საუკუნეების საქართველოში პოეზიის დანიშნულების გაგებაში ყველაზე უკეთ ალბათ ისევ რუსთველის შესაბამისი სტრიქონები დაგვეხმარება, თუკი ამ სტრიქონებს სწორად და იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი გააზრებებით წავიკითხავთ.

„ვეფხისტყაოსნის" პროლოგი ხომ სრულიად მკაფიოდ გვეუბნება, რომ შაირობა (ანუ პოეზია) „პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი. კვლა აქაცა ეამების, ვინცა იყოს კაცი ვარგი, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამად კარგი".

აღნიშნულ მონაკვეთში მთავარი, საკვანძო სიტყვაა სიბრძნე, რომელიც, რასაკვირველია, აქ უპირველესად, ღვთაებრივ, ტრანსცენდენტულ სიბრძნეს გულისხმობს, სიბრძნეს, რომელიც ღვთის ბუნების შეცნობაში გვეხმარება. ღვთის ბუნების შეცნობა კი იმქვეყნიური ცხოვრების საგზალია, ის, რისი ნაყოფიც

ადამიანს იმსოფლად უნდა შეეწიოს. ამიტომაც დასძენს აქვე რუსთველი „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი". ანუ, პოეზიის ნაყოფი კი არის საიმსოფლიო, მაგრამ აქაც, ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც მოუტანს სარგებელს იმ ვარგ ადამიანს, ვინც მას აქვე, წუთისოფელშივე, სწორად გაიგებსო"-წერს პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჟანიძე.

მართლაც, მატერიალისტურ სამყაროში ძნელია, ისაუბრო მაღალ

იდეალებზე, როცა ირგვლივ ამდენი პრობლემაა და პოეზია სულის საზრდოდაც აღარ ითვლება. ფასეულობათა ნიველირებამ პოეზიასაც დაუკარგა ფასი და დანიშნულება.

ქალი ყოველთვის ითვლებოდა პოეტების მუზად და ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი იმაზე, რომ ქალსაც შეუძლია იყოს შემოქმედი, თავადაც დაწეროს ლექსი. ამ სფეროში გადატრიალება დროთა განმავლობაში მოახდინეს ქალებმა, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე დაამტკიცეს, რომ მუზად ყოფნაზე მეტი შეუძლიათ.

24 ოქტომბერს, მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში პოეზიის საღამო -„ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ" გაიმართა. ამ დღეს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს პოეტ ქალთა საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა დედოფლისწყაროელ პოეტ ქალებზე, რომელთაც მთელი საქართველოს მასშტაბით თუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანეს საქართველოს სახელი. მან საზოგადოებას წარუდგინა საღამოს მთავარი გმირები.

პოეტი ქალბატონები – ანა კიკილაშვილი, ნინო ახალაძე, თამარ ნასრაშვილი, ეკა თარაშვილი, ლალი მეხრიშვილი, ნინო კაჭკაჭაშვილი. (საპატიო მიზეზით ღონისძიებას არ ესწრებოდა პოეტი ზიზო ბურდული).

ამ დღეს გაიმართა ანი კიკილაშვილის პოეტური კრებულის „შენ გამო იყო" პრეზენტაცია.

პოეტები დამსწრეთა წინაშე წარსდგნენ საკუთარი ლექსებით.

საღამოზე გაიხსენეს რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი პოეტი ჯუმბერ უთრუთაშვილი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მისი და სხვა გარდაცვლილი პოეტების - ლევან ალავერდაშვილის და თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნას.

პოეტებს მიესალმნენ და მადლობა გადაუხადეს ულამაზესი ღონისძიებისთვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მიხეილ ბახუტაშვილმა, მერიის თანამშრომელმა ანა ბენაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჯანაშვილმა, გაზეთ „შირაქის" დირექტორმა ინგა შიოლაშვილმა, პოეტებმა - გიორგი ნატროშვილმა და თამაზ წიკლაურმა, დედა სერაფიმამ, განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ მაყვალა მაძღარაშვილმა, სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების განყოფილების სპეციალისტმა მაია პოპიაშვილმა.

დასასრულს ა. (ა). ი. პ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ლამაზი და საინტერესო ღონისძიების ორგანიზებისათვის და პოეტ ქალბატონებს გადასცა სიგელები - ქართული პოეზიის სიყვარულისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

ამ დღეს პოეზიის სიყვარულმა სხვადასხვა პროფესიის ქალი გააერთიანა. პოეზიის უპირატესობა ხომ სწორედ სათქმელისა და სიტყვების ორიგინალური შეთანხმებაა. ღირებულ პოეზიაში მკითხველი ხვდება, რომ პოეტი განსაკუთრებული სიფაქიზით არჩევს სიტყვებს და, რაც მთავარია, ის ასოციაციების ნაკადი, რაც ამ ძიებას მოაქვს, აღმქმელისთვის გუნებრივი და გულრწფელია.

ინგა შიოლაშვილი

ცხოვრება ხელოვნებაში

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში, ღია ცის ქვეშ, 9 ნოემბერს გაიმართა ყველაზე საყვარელი მუსიკოლოგის, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი საუკუნის ლეგენდის, თბილისის საპატიო მოქალაქის მანანა ახმეტელის წიგნის „ცხოვრება ხელოვნებაში" წარდგინება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დაარსებიდან 50 წლისთავის იუბილეს.

პროექტის ავტორი გახლდათ დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიზაცია. (საპატიო თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე)

მე-17 საუკუნის დიდი ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი, ფრანსის ბეკონი წერდა: „არის ისეთი წიგნები, რომლებსაც მხოლოდ გემო უნდა გაუსინჯო, ისეთები არის, რომლებიც უმჯობესია გადაყლაპო, მხოლოდ მცირეა ისეთი, რომელთა დაღეჭვა და მონელება მართლაც ღირს". სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება ქალბატონ მანანას წიგნი „ცხოვრება ხელოვნებაში ", რომელიც უძღვნა თავისი მშობლების ნათელ ხსოვნას. იგი საკმაოდ დიდი ფორმატია და შეიცავს 432 გვერდს!

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

წიგნი ვრცლად მიმოიხილეს ნანა ჭიჭინაძემ და მუსიკოსმა თამილა ნადირაშვილმა.

დამსწრე საზოგადოება სულგანაბული უსმენდა თავად ავტორს მანანა ახმეტელს, რომელთა უმრავლესობას მწიგნობართა ასოციაციის წევრები და ოპერის წამყვანი სოლისტები წარმოადგენდნენ.

წიგნის წარდგინება ოვაციებით დასრულდა.

მარიკა პოპიაშვილი

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

ბურთი მრგვალია და ზუსტი გათვლები არ არსებობს, ვის სასარგებლოდ გადაიხრება სასწორის პინა ფეხბურთის თამაშის დროს, მაგრამ, მკითხველი დამეთანხმება, რომ გამარჯვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც საფეხბურთო ოსტატობის ფლობაა.

სწორედ ასეთი ოსტატობა გამოავლინეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მათ მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროში გამართულ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე მინი ფეხბურთში და პირველი ადგილი მოიპოვეს.

სულ ოთხი თამაში ჩაატარეს და ოთხივე წარმატებით. თავდაპირველად ზემო ქედის საჯარო სკოლასთან ჰქონდათ შეხვედრა და პენალტების სერია 1:0-ით დაამთავრეს, შემდეგ იყო თამაში დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლასთან (ანგარიში 4:2), ქვემო ქედის საჯარო სკოლასთან (ანგარიში 2:0), ბოლოს ფინალი არხილოსკალოს საჯარო სკოლასთან (ანგარიში 2:1).

გუნდის შემადგენლობაში თამაშობდნენ:

***ნიკა ნალტაკიანი;**
***ალიოშა პეტროსიანი;**
***ჟორა ოვსეპიანი (მეკარე);**
***გარიკ ისაევი;**
***მანუკ აივაზიანი.**

გამარჯვებულებს ემოციური შეხვედრა მოუწყეს მშობლიურ სკოლაში, ხოლო სოფლის გამგებელმა კარენ მუსაელიანმა ფულადი ჯილდო გადასცა თითოეულ მათგანს.

წინ რეგიონული სასკოლო ოლიმპიადა ელოდებათ, რომელიც თელავში გაიმართება.

წარმატებები ვუსურვოთ, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი, ბიჭებო!

მანანა თარაშვილი

კახეთის რეგიონულ რინგზე

3 ნოემბერს ქალაქ თელავში ჩატარდა კახეთის რეგიონის ღია რინგი კიკბოქსინგში. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ როგორც კახეთის რეგიონის, ასევე თბილისისა და რუსთავის გუნდები.

ტურნირის ორგანიზატორი იყო ფედერაციის კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი ლაშა ჭურაძე) და თელავის გუნდ „ჯორჯიას“ მწვრთნელი ვანო ათამაშვილი. ტურნირზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს ზემო მაჩხაანის კლუბ „ზაქების“ სპორტსმენებმა. მონაწილეობდა 7 სპორტსმენი. და ყველა მათგანმა საპრიზო ადგილი დაიკავა. ესენი არიან: ნინა ჯაბაშვილი, გოჩა ჩუთლაშვილი, ლუკა მექერიშვილი, საბა მახარაძე, საბა ნატროშვილი, ლევანი რობიტაშვილი, რატი დაუთაშვილი. ამ შვიდი სპორტსმენიდან მძიმე წონით კატეგორიაში საუკეთესოდ იბრძოლა ორმა სპორტსმენმა. ნიკა ჯაბაშვილმა (70 კგ) იბრძოლა 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში და გაიმარჯვა აშკარა უპირატესობით. ასევე გოჩა ჩუთლაშვილმა (68 კგ) მონაწილეობა მიიღო 77 კგ წონით კატეგორიაში და მიუხედავად წონითი სხვაობისა, აშკარა უპირატესობით დაამარცხა მოწინააღმდეგე. ამ ორ სპორტსმენს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „დევებთან შერკინებაში გამარჯვებულები“.

გუნდ „ზაქების“ მწვრთნელი
გენადი ნატროშვილი

«იუვენტუსი» მზადაა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელის უფასოდ 7 მილიონი გადაიხადოს

Juvelive-ს ცნობით, საქართველოს ნაკრებისა და „ემპოლის“ 20 წლის მცველით, საბა გოგლიჩიძით „იუვენტუსი“ დაინტერესდა.

გამოცემა წერს, რომ ასაკიდან გამომდინარე, „ემპოლის“ 28 წლის ალბანელი მცველის, არდიან ისმაილის გადაბირებას „იუვენტუსი“ აღარ განიხილავს, რამეთუ გრძელვადიან პერსპექტივაში პრიორიტეტული ქართველის კანდიდატურაა. აღნიშნულია, რომ ტურინული კლუბის სტრატეგია აქცენტის ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გაკეთებაა, საბამ მიმდინარე სეზონში თავი კარგად წარმოაჩინა, „იუვე“ მზადაა ზაფხულში დაახლოებით 7 მილიონი ევრო გადაიხადოს და მუდმივი სათამაშო პრაქტიკისა და პროგრესირებისთვის იჯარით თავის ამჟამინდელ გუნდში დატოვოს. გოგლიჩიძემ 14 სექტემბერს, „იუვესთან“ სერია A-ს მეოთხე ტურის საშინაო მატჩში (0:0) შეუცვლელად ითამაშა, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და როგორც ეტყობა, სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ მიიქცია „ბებერი ქალბატონის“ ყურადღება.

Transfermarkt-ის მიხედვით გოგლიჩიძის ფასი 5 მილიონია, „ემპოლისთან“ კი კონტრაქტი 2027 წლის 30 ივნისამდე აქვს გაფორმებული.

ევრობასკეტის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოსამზადებლად ეროვნულმა ნაკრებმა შეკრება დაიწყო

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალეკსანდარ ჯიკიჩმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, საიდანაც მომავალი სანაკრებო თამაშებისთვის 14 მოთამაშეს შეარჩევს. სწორედ მათგან, თამაშების წინა დღეს დაასახელებს მთავარი მწვრთნელი იმ 12 კალათბურთელს, რომლებიც ოფიციალურ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდს 21 და 24 ნოემბერს ევრობასკეტ 2025-ის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩები ელის. ჩვენი ნაკრები 3 დღის ინტერვალით ორივე მატჩს ფინეთთან გამართავს. ჯიკიჩის გაწვრთნილი გუნდი 21 ნოემბერს ჰელსინკიში ითამაშებს, 24-ში კი ფინეთს თბილისში დაუპირისპირდება.

ეროვნულმა ნაკრებმა შეკრება არასრული შემადგენლობით - 11 ნოემბრიდან დაიწყო. 3 დღის განმავლობაში ალეკსანდარ ჯიკიჩი ნაკრებს დიღმის არენაზე ავარჯიშებს, ხოლო ფინეთში გამგზავრებამდე ბოლო 3 დღეს გუნდი თბილისი არენაზე მოემზადება. ეროვნული გუნდი ფინეთში 18 ნოემბერს გაემგზავრება და მზადებას ჰელსინკიში განაგრძობს, სადაც ნაკრებს ესპანეთში მოთამაშე ლეგიონერები - გიორგი შერმადინი, ბექა ბურჯანაძე და კაპიტანი, თორნიკე შენგელია შეუერთდებიან.

პირდაპირ ფინეთში ჩავა ის ამერიკელი ლეგიონერიც, რომელიც საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავს 21 ნოემბერს ფინეთთან მატჩში. ასეთი ორია — ჯო ტომასონი, რომელსაც საქართველოს ნაკრებში უკვე 4 მატჩი აქვს ჩატარებული და ახალი ნატურალიზებული ამერიკელი, ესპანური ბასკონიას წევრი, კამარ ბოლდუინი. ნაკრებში 3 ახალწვეულია: ქუთაისი 2010-ის წევრი, 20 წლის გიორგი სულაბერიძე, გორის ივერიონის ცენტრი, 25 წლის ივანე მეგენეიშვილი და თსუ-ს 16 წლის გამთამაშებელი, ზაზა ფაჩულიას აკადემიის აღზრდილი და მის ასაკობრივ გუნდებში მოთამაშე მათე ყავლაშვილი. ესპანეთიდან თბილისში ჩამოვიდა და 12 კაცში მოსახვედრად იბრძოლებს გასულ ზაფხულს ყავლაშვილთან ერთად 16-წლამდელთა ნაკრებში მოთამაშე მათე ხატიაშვილი, რომელსაც მცირე ასაკის მიუხედავად ეროვნულ ნაკრებში ვარჯიშის საკმაო სტაჟი აქვს. ის ჯერ კიდევ 2 წლის წინ ილიას ზუროსმა გამოიძახა და 14 წლის მოზარდმა ეროვნულ გუნდში რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა. გასულ ზაფხულს კი ხატიაშვილი ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის სამზადისში მყოფი ჩვენი ნაკრების შეკრებაზე იმყოფებოდა. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში გამოიძახეს სანდრო სანაძე, დუდა სანაძის უმცროსი ძმა, რომელიც ზესტაფონის მარგვეთში შედეგიან სეზონს ატარებს. სუპერლიგაში წარმატებული ასპარეზობა დაუფასდა ზემოთნახსენებ დებიუტანტ ივანე მეგენეიშვილსაც, რომელიც ასაკობრივ ნაკრებებში ხანგამოშვებით ხვდებოდა და მისი არასტაბილურობის მიზეზი ხშირი ტრავმიანობა იყო. რაც შეეხება კიდევ ერთ დებიუტანტ, გიორგი სულაბერიძეს, ის მიმდინარე ჩემპიონატში ქუთაისის გუნდში ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშეა და წინა სეზონის სუპერლიგის ჩემპიონობაშიც საკუთარი წვლილი მიუძღვის. მძიმე ტრავმის შემდეგ მოედანს დაბრუნებული ლუკა ლიკლიკაძე ნაკრებსაც დაუბრუნდა, რომელმაც 2023 წელს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, თუმცა სუპერლიგის წინა სეზონის სტარტზე აქილევსის მყესი გიწყვიტა და თითქმის 1 წელი არ უთამაშია. ის მოედანზე ამ სეზონიდან დაბრუნდა და ჯერ კიდევ ფორმის აღდგენის პროცესშია. ლიკლიკაძესთან ერთად გამთამაშებლის პოზიციაზე ნაკრებში გამოძახებულნი არიან გაგრის "ამრას" წევრი, ლუკა მაზიაშვილი და ბოლო მატჩებში ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მყოფი მოთამაშეები - რატი ანდრონიკაშვილი და გიორგი ოჩხიკიძე. ის, თუ რომელი კალათბურთელები მოხვდებიან ფინეთთან მატჩის 12-კაციან განაცხადში, ალეკსანდარ ჯიკიჩი თბილისური შეკრების ბოლოს გადაწყვეტს, რის შემდეგაც, 18 ნოემბერს, საქართველოს ნაკრები ჰელსინკიში გაემგზავრება, სადაც ფინეთთან დაპირისპირებამდე მოსამზადებლად კიდევ 2 დღე ექნება.

საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მატებაა. ალეკსანდარ ჯიკიჩის ასისტენტების სიას, რომელსაც ანატოლი ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი შეადგენენ, დაემატა ნიკა ცინცაძე, რომელიც ეროვნულ ნაკრებთან 11 ნოემბრიდან იქნება. ბოისა და მარკოიშვილი უცხოურ კლუბებში - შესაბამისად ბერძნულ მარუსიში და მონაკოში მუშაობენ, რის გამოც ნაკრებს მოგვიანებით, ფიბა-ს სანაკრებო ფანჯრის ოფიციალურად გახსნის შემდეგ შეუერთდებიან.

ეროვნულმა ბანკმა ნაკრებს ევრო 2024-ის საკოლექციო მონეტები გადასცა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ ევროპის 2024 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს და სტაფს საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის, ხოლო ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ვილი სანიოლს ოქროს მონეტები გადასცა.

ოქროსა და ვერცხლის 5 ლარის ნომინალი საკოლექციო მონეტების გამოშვების გადაწყვეტილება, ეროვნულმა ბანკმა ფეხბურთში ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვებისა და ევროპის 2024 წლის ჩემპიონატზე თამაშის აღსანიშნად, მიმდინარე წლის მარტში მიიღო. აღნიშნული მონეტები საქართველოს ნაკრებისა და ქართველი ფეხბურთელების წარმატებასთან არის დაკავშირებული.

მონეტებისთვის დიზაინის ესკიზები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით მომზადდა (დიზაინის ავტორი ბაჩო ლაგვილავა). მისი თითოეული დეტალი ეროვნული ნაკრების გუნდის სიმბოლიკიდან არის აღებული და სრულად შეესაბამება ნაკრების ბრენდბუქს.

მონეტის ავერსზე გამოსახულია მთავარი სიმბოლო - ლოგო (ვერცხლის მონეტაზე მოცემულია ფერადი სახით) და ამ ლოგოს დიზაინიდან ამოღებული მხედრის გამოსახულება (ცხენზე ამხედრებული გმირის პროტოტიპად აღებულია თეთრი გიორგი), რომელიც ებრძვის გველეშაპს, როგორც შიშის სიმბოლოს. მთავარი სიმბოლოს ერთ-ერთი ძირითადი ინტერპრეტაციაც საკუთარ სისუსტეებზე გამარჯვება და ამით ნებისმიერი მეტოქის დამარცხებაა. მონეტაზე დატანილია ბრენდის სლოგანი „მე ვარ საქართველო“, რომელიც ახმოვანებს მის იდეოლოგიას როგორც ბრენდის, ისე ფეხბურთელისა და გულშემატკივრის მხრიდან.

მონეტის რევერსზე გამოსახულია ფეხბურთელის მაისურის დიზაინი (ვერცხლის მონეტაზე მოცემულია ფერადი სახით), რომელიც შეიქმნა ნაკრების ახალი ბრენდის ჩამოყალიბებასთან ერთად და ირეკლავს ბრენდის ფილოსოფიას და ითვალისწინებს თანამედროვე ვიზუალურ ტრენდებს. მონეტა ასევე შეიცავს მოვლენის აღმნიშვნელ წარწერებს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ნომინალს და გამოშვების წელს.მონეტების რეალიზაციის შესახებ დეტალები ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

სათამაშოები, რომლებსაც არ ვიცნობთ...

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გათვალისწინებით, სათამაშოების ხარისხზე კონტროლი საქართველოში 2021 წლიდან ამოქმედდა. ახლა ქვეყანაში საშიშ სათამაშოებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სარისკო პროდუქტად ე.წ. ტყლარწები ითვლება.

ქართული ბაზრიდან აღებული სათამაშოები, დეტალური კვლევისთვის ზედამხედველობის სააგენტომ თურქეთის აკრედიტებულ ლაბორატორიაში გაგზავნა. ფერად ე.წ. ტყლარწებში ისეთი ქიმიური ნაერთი აღმოაჩინეს, რომელიც ჯანმრთელობის არაერთ და, ხშირად, გამოუსწორებელ პრობლემას იწვევს. აღმოჩენილი ბორი ბავშვის ორგანიზმში ადვილად შეიძლება მოხვდეს ქიმიურად დაბინძურებული სათამაშოს შეხებითაც. კანიდანაც კარგად შეიწოვება, ამიტომ ქრონიკულად ასეთი სათამაშოების მოხმარებამ შეიძლება მისი დაგროვება გამოიწვიოს. სიმპტომები რომლითაც ხასიათდება ბორით ინტოქსიკაცია ეს არის თავის ტკივილი, სისუსტე, გულისრევა, მუცლის ტკივილი, ალოპეცია ანუ თმის ცვენა, კუნთების კრუნჩხვები, უფრო დიდ ასაკში მენსტრუალური ციკლის დარღვევა და სექსუალური ჰორმონების არევა. იმდენად ტოქსიკურია, რომ შეიძლება, ლეტალობაც კი გამოიწვიოს.

საშიში სათამაშოების ჩამონათვალში მოხვდა ჩვილებისთვის განკუთვნილი ე.წ. საჩხაკუნო სათამაშოები. პლასტმასის სათამაშოებს, რომელთაც აქვთ პატარა ნაწილაკები, კვლევის აღწერაში განმარტებულია გაგუდვის საფრთხე.

მომხმარებელთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციაში ამბობენ, რომ ბავშვების ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოები საქართველოში ისევ აქტუალურია. გამოსავალს კი უფრო მასშტაბური კონტროლში ხედავენ.

რისკის მინიმუმამდე შემცირებაში თანამონაწილეობა შეუძლია მომხმარებელსაც. ზედამხედველობის სააგენტოს აქვს ვალდებულება, სათამაშო შეამოწმოს მოქალაქის მიმართვის საფუძველზეც. თუ გაქვთ ეჭვი ან ინფორმაცია, რომ სათამაშო საშიშია ბავშვის ჯანმრთელობისთვის შეგიძლიათ დატოვოთ განაცხადი შესაბამის ვებგვერდზე.

ტერმინი ე.წ „ტყლარწი“ შეიძლება მიუთითებდეს ნივთიერებების მრავალფეროვნებაზე, დაწყებული ცხოველების მიერ წარმოებული ლორწოდან (როგორიცაა ლოკოკინები ან გარკვეული ამფიბიები) სათამაშოდ ან ნაკეთობებისთვის დამზადებულ ლორწოვანებამდე (როგორიცაა ხელნაკეთი წებოზე დაფუძნებული ან სიმინდის სახამებელი). ლორწოს უსაფრთხოება ნამდვილად დამოკიდებულია მის წყაროსა და დანიშნულებაზე. მიმოვიხილოთ სხვადასხვა ტიპის ლორწოვანა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოსაზრებები:

1. ცხოველური ლორწო (ლოკოკინები, ამფიბიები) - ცხოველების მიერ წარმოქმნილი ლორწო, როგორიცაა ლოკოკინები ან ამფიბიები (ბაყაყები, სალამანდრები) ჩვეულებრივ უსაფრთხოა შეხებისთვის, თუმცა შეიძლება იყოს ზედმეტად წებოვანი ან უსიამოვნო. ეს ლორწო ეხმარება ცხოველებს გადაადგილებაში, თავის დაცვასა და ტენიანობის შენარჩუნებაში.

ჰიგიენური მოსაზრებები: მიუხედავად იმისა, რომ ლორწო თავისთავად არ არის საზიანო, კარგი იქნება დაიბანოთ ხელები ცხოველებთან მუშაობის ან შეხების შემდეგ, რათა თავიდან აიცილოთ ბაქტერიული დაბინძურების რისკი. ზოგიერთი ცხოველის ლორწო შეიძლება შეიცავდეს მსუბუქ ტოქსინებს ან გამღიზიანებლებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რეაქცია კანზე მგრძნობიარე პირებში.

ტოქსიკურობა ცალკეულ სახეობებში: ბაყაყების, სალამანდრების ან ტრიტონების ზოგიერთი სახეობა გამოყოფს ტოქსინებს, რომელიც შეიძლება იყოს მათ ლორწოვანაში. ეს ტოქსინები, როგორც წესი, არ არის საზიანო, მაგრამ შეხებამ შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება, თუ ისინი მოხვდებიან დაზიანებულ კანთან ან ლორწოვან გარსთან (როგორიცაა თვალები ან პირი).

2. ხელნაკეთი ან სათამაშო სლაიმი ე.წ „ტყლარწი“ (ხელნაკეთი სლაიმი, მაღაზიაში ნაყიდი სლაიმი) ხელნაკეთი სლაიმი ხშირად მზადდება ისეთი ინგრედიენტების გამოყენებით, როგორიცაა წებო (PVA წებო), ბორაქსი, საცხობი სოდა, სიმინდის სახამებელი ან საპარსი კრემი. უმეტესწილად, მათი დამუშავება უსაფრთხოა, მაგრამ უსაფრთხოება დამოკიდებულია კონკრეტულ ინგრედიენტებზე.

წებოზე დაფუძნებული სლაიმები: თეთრი ან გამჭვირვალე წებოსგან დამზადებული სლაიმი, საცხობი სოდა და მარილიანი ხსნარი (კონტაქტური ლინზების ხსნარი) ზოგადად უსაფრთხოა ბავშვებისთვის, თუმცა, უნდა მოერიდონ მის პირში ან თვალებში მოხვედრას. სლაიმის ზოგიერთ რეცეპტში ბორაქსი შეიძლება იყოს გამღიზიანებელი კანისა და თვალებისთვის, თუ ჭარბად გამოიყენება, ამიტომ მნიშვნელოვანია მომზადების ინსტრუქციების ყურადღებით დაცვა.

ბორაქსის მგრძნობელობა: მიუხედავად იმისა, რომ ბორაქსი არის ეფექტური აქტივატორი, არასწორად გამოყენების შემთხვევაში, შეუძლია გამოიწვიოს კანის გაღიზიანება. თუ გადაყლაპეთ, ის შეიძლება ტოქსიკურიც იყოს, ამიტომ ბორაქსით დამზადებული სლაიმები უნდა ინახებოდეს შორს პატარა ბავშვებისა და შინაური ცხოველებისგან, რომლებმაც შეიძლება შემთხვევით შეჭამონ ან გალოკონ.

არატოქსიკური სლაიმი: კომერციულად ხელმისაწვდომი ბევრი ლორწო ეტიკეტირებულია, როგორც „არატოქსიკური“ და, ზოგადად, უსაფრთხოა ბავშვებისთვის. თუმცა, გადაყლაპვის შემთხვევაში შესაძლოა კუჭის აშლილობა ან დახრჩობა გამოიწვიოს.

ტოქსიკურობა ან ალერგიული რეაქციები: ზოგიერთ მაღაზიაში ნაყიდი სლაიმი შეიძლება შეიცავდეს დამატებით ქიმიურ ნივთიერებებს ან სუნამოებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კანის გაღიზიანება ან ალერგიული რეაქციები მგრძნობიარე პირებში. ყოველთვის შეამოწმეთ ეტიკეტები და მოერიდეთ უხეში ქიმიკატების ან ძლიერი სუნამოების შემცველ ნივთებს, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვებისთვის.

დახრჩობის საშიშროება: მცირე ნაწილებს, როგორიცაა ბრჭყვიალა მძივები ან ქაფის ბურთულები ზოგიერთ ლორწოვანში, შეიძლება წარმოადგენდეს დახრჩობის საშიშროებას მცირეწლოვანი ბავშვებისთვის. ყოველთვის თვალყური ადევნეთ თამაშს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ლორწო შეიცავს პატარა ობიექტებს.

ასე რომ, სლაიმი შეიძლება იყოს საკმაოდ უსაფრთხო, მაგრამ ყოველთვის გაითვალისწინეთ ლორწოს ტიპი, რომელთანაც გაქვთ საქმე და უსაფრთხოების ზომები, რომლებიც საჭიროა თითოეულისთვის!

ბოლო დროს, აქტუალური გახდა ონლაინ მაღაზია „Temu“-დან ან მსგავსი პლატფორმებიდან გამოწერილი ნივთების უსაფრთხოების საკითხი და მათი უსაფრთხოება. „Temu“-დან შეძენილი სლაიმები შეიძლება იყოს უსაფრთხო გამოსაყენებლად, თუ ისინი მონიშნულია, როგორც არატოქსიკური, BPA-ის გარეშე და ფტალატისგან თავისუფალი. ზოგიერთი ლორწო, განსაკუთრებით ელასტიური ან ე.წ „კარაქიანი“ ლორწო, შეიძლება შეიცავდეს ფტალატებს (ქიმიკატები, რომლებიც გამოიყენება პლასტმასის უფრო მოქნილობისთვის) ან BPA (ბისფენოლ A), რაც შეიძლება საზიანო იყოს, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვებისთვის. ყოველთვის მოძებნეთ სლაიმები, რომლებიც ეტიკეტირებულია, როგორც BPA-ის გარეშე და ფტალატისგან თავისუფალი, რათა თავიდან აიცილოთ ამ მავნე ნივთიერებების პოტენციური ზემოქმედება. თუმცა, არსებობს უსაფრთხოების რამდენიმე ზომა, რომელიც უნდა მიიღოთ:

***შეძენამდე ყურადღებით შეამოწმეთ ეტიკეტები და მიმოხილვები.**

***მოერიდეთ სლაიმებს ძლიერი ქიმიური სუნით ან გაურკვეველი ინგრედიენტების სიით.**

***უყურეთ ბავშვებს თამაშის დროს, რათა თავიდან აიცილოთ გადაყლაპვა ან დახრჩობის საფრთხე.**

***დაიბანეთ ხელები სლაიმის დამუშავების შემდეგ და მოერიდეთ კონტაქტს თვალებთან ან დაზიანებულ კანთან.**

***იგივე რეკომენდაციები მოქმედებს რეზინის სათამაშოებზეც, რომლებიც შეიძლება იყოს უსაფრთხო, თუ ისინი აკმაყოფილებენ სწორ სტანდარტებს:**

***დარწმუნდით, რომ სათამაშო არ არის ტოქსიკური, არ შეიცავს BPA-ს და არ შეიცავს ფტალატს.**

***მოძებნეთ სერთიფიკატები და ეტიკეტები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სათამაშო შეესაბამება უსაფრთხოების წესებს, როგორიცაა ASTM ან CPSC. ზოგიერთი საერთო სერთიფიკატი მოიცავს:**

***-ASTM (ამერიკული სატესტო და მასალების საზოგადოება): უზრუნველყოფს, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს ბავშვთა სათამაშოებისთვის.**

***-CPSC (სამომხმარებლო პროდუქტის უსაფრთხოების კომისია): უზრუნველყოფს სათამაშოს უსაფრთხოების ტესტირებას, განსაკუთრებით ბავშვებისთვის.**

***-CE ნიშანი: ევროპაში გაყიდული პროდუქტებისთვის, რაც მიუთითებს, რომ ისინი აკმაყოფილებენ უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვით სტანდარტებს.**

***ფრთხილად იყავით მცირე ნაწილების, ქიმიური სუნისა და პოტენციური ლატექსის ალერგიის მიმართ.**

***ყოველთვის აკონტროლეთ მცირეწლოვან ბავშვებსა და შინაურ ცხოველებს თამაშის დროს და გადააგდეთ სათამაშოები, რომლებიც აჩვენებენ ცვეთა ან დაზიანებას.**

სახიფათო რეზინის სათამაშოებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:

***ძლიერი ქიმიური სუნი: თუ რეზინის სათამაშოს აქვს ძლიერი ქიმიური სუნი, ის შეიძლება შეიცავდეს მავნე ნივთიერებებს, როგორიცაა ფტალატები, BPA ან სხვა ტოქსიკური ქიმიკატები.**

***აქერცვლა ან მსხვრევა: თუ რეზინის მასალა იწყებს დეგრადაციას, იშლება ან იმსხვრევა, მას შეუძლია დახრჩობის საფრთხე შეუქმნას ბავშვს და დაუყოვნებლივ უნდა გადააგდოთ.**

***ლაქები ან ფერის შეცვლა: ზოგიერთ შემთხვევაში, უხარისხო რეზინას შეუძლია ლაქების გაჩენა ან გაუფერულება, რაც შეიძლება მიუთითებდეს მავნე საღებავების ან ქიმიკატების არსებობაზე.**

საბოლოოდ, მაღალი ხარისხის, სწორი ეტიკეტირებითა და შემადგენლობის რეზინის სათამაშოებისა და ე.წ. „ტყლარწების“ შეძენით, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებით, შეგიძლიათ შეამციროთ ჯანმრთელობის რისკი და უზრუნველყოთ უსაფრთხო თამაში.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

დაგეგმილი ცხოვრება - სტაბილურობის გარანტი

***ქალთა უმრავლესობის-დიასახლისების თუ მოსამსახურეების ყოველდღიური ცხოვრება ერთმანეთს ჰგავს, თითქოს დადგენილი რუტინაა, ყოველი ახალი დღე გარკვეული რეჟიმის და გეგმის მიხედვით ხორციელდება, ასე გადის დღეები,თვეები, წლები.**

ზოგჯერ შეიძლება იმ ერთფეროვან დღეებში ცვლილება შეიტანო და სამოგზაუროდ წახვიდე ანდა დასასვენებლად, მაგრამ მერე ისევ ვუბრუნდებით პირვანდელ მდგომარეობას და ვაგრძელებთ ჩვეულ ყოველდღიურ ცხოვრებას, სადაც ვპოულობთ ბედნიერების წუთებსაც და სევდის მომენტებსაც. ბედნიერება ხომ სადმე თაიგულად შეკრული არსად დევს, მიხვიდე, ხელი მოკიდო და წამოიღო. ბედნიერება ჩვენს ირგვლივ წუთებად, წამებად, რაღაც მოვლენებად არის მიმოფანტული და ჩვენ ის უნდა შევიგრძნოთ, აღვიქვათ, დავაფასოთ... მე რომ დღეს ჩემი, დილით გონებაში გაწერილი გეგმის მიხედვით ოჯახს გემრიელ სადილს მოვუმზადებ(პირობითად) და შემდეგ ქვაბს თავსახურს დავახურებ, აქედან ისეთ დადებით ენერგიას ვიღებ, რომელსაც მერე ოჯახის წევრთა ნასიამოვნები სახის გამომეტყველება ემატება ამ სადილის მირთმევისას. ვფიქრობ, ეს ზუსტად ის მომენტია, როდესაც ადრენალინი პიკს აღწევს და მოტივაცია მზარდზე მზარდია შემდეგი გეგმის განსახორციელებლად.

ვინმესთვის ამაზე საუბარი შეიძლება ანბანია, მაგრამ, ზოგიერთმა შეიძლება არც იცის, რომ ყოველდღიური პატარ-პატარა გეგმების გარეშე, დაუგეგმავად ცხოვრება არაპროდუქტიულია და უხალისო. ჩვენი თითოეული სულ პატარა გეგმაც კი, ჩვენი დიდი ხალისის და ენერგიის წყაროა.

ყოველდღიური გეგმის მიხედვით ცხოვრება და ამ პროცესში ბედნიერების პოვნა არის ერთ-ერთი გზა, რომ ადამიანი უფრო სერიოზულად მოეკიდოს საკუთარ ცხოვრებას და მიიღოს დამაკმაყოფილებელი შედეგები. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი გვეხმარება მიზნების განხორციელებაში, მათ შესრულებასა და საბოლოოდ,სტაბილურ ცხოვრებაში. ყოველდღიური გეგმის მიხედვით ცხოვრება გულისხმობს ცხადად დადგენილი საზღვრების და ამოცანების შექმნას, რომლებიც მოიცავს სამუშაოს, პირად ცხოვრებას, ჯანმრთელობასა და ჰობებს.

როცა დღის განმავლობაში გვაქვს კონკრეტული ამოცანები, ეს არა მხოლოდ ჩვენი ყურადღების კონცენტრაციას უწყობს ხელს, არამედ შეგვიქმნის ანტიციპაციის (წინასწარგანჭვრეტის) განცდასაც. როდესაც პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება წინ, ადამიანი ბუნებრივად გრძნობს სიხარულს და ემოციების აღმოცენებას. მაგალითად, თუ ერთი დღის მიზანი იქნებოდა ფიზიკური აქტივობის და ჯანსაღი კვების შესახებ ფიქრი, შესაძლოა, მოგვიანებით ეს გამოწვევა გახდეს იუმორისა და ხელოვნების ყოველდღიური ციკლი. როდესაც ადამიანი წარმატებით ასრულებს მიზნებს, მოტივაცია გრძელდება. გარდა ამისა, დღის გეგმის მიხედვით ცხოვრება, ხშირად თან სდევს სიურპრიზებსაც. შეიძლება კომფორტის ზონიდან მოულოდნელად გამოსვლისას აღმოაჩინო რაიმე ახალი, რაც გაგაძლიერებს შინაგანად. ამას თან ახლავს საკუთარი თავის პატივისცემა და თავდაჯერებულობა.

***შესაბამისად, ყოველდღიური გეგმის მიხედვით ცხოვრება არა მხოლოდ ორგანიზებული დროის მართვას ეხება, არამედ ცხოვრების იმ სპეციალურ მომენტებში გადარჩენას, სადაც სიხარული და მშვიდობა არსებობს.**

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

სიცოცხლე ფერში



გარე სამყარო შავ-თეთრ გამოსახულებაშიც კი თავისი ფორმების სიუხვით გამოირჩევა, რომლებსაც შეუძლიათ ჩვენი ყურადღება მიიპყრონ ან გაფანტონ, დაგვამშვიდონ, ან აღგვაგზნონ, გაგვაჯავრონ, დაგვემუქრონ და ტკივილიც კი მოგვაყენონ. ახლა ამას დავუმატოთ ის ფერთა სამყარო, რომლის გარემოცვაშიც ვიმყოფებით და მივხვდებით, თუ რა დიდი გავლენა აქვს ადამიანზე გარემოს.

პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია ფერებისა და ფორმის ზემოქმედებას ადამიანზე, იყო რუსი მხატვარი ვასილი კანდინსკი. მასვე ეკუთვნის ცნობილი ჰარმონიის (ყვითელი სამკუთხედი, წითელი სამკუთხედი და კვადრატი, ლურჯი კვადრატი) და დისჰარმონიის (ყვითელი წრე და კვადრატი, წითელი წრე, ლურჯი სამკუთხედი) წესები. ფერების აღქმის მეცნიერების, კოლორისტიკის ფუძემდებლად კი აღიარებულია დიდი გერმანელი პოეტი გოეთე. მისი ნაშრომი „სწავლება ფერზე“, რომელიც თანამედროვეებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს, შეიძლება მისი მხატვრული ნაწარმოებების გვერდით დავაყენოთ. გოეთეს აღიარებას ხელი შეუშალა მისმა კამათმა ნიუტონთა. გაუგებრობის მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ნიუტონი ფერს კი არა, ფერად სინათლეს იხილავდა. გოეთეს ყურადღება კი ბუნების ფერებზე იყო მიმართული. გარემოს საგნების შეფერილობაზე და იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ფერს ადამიანი.

კოლორისტიკა აღიარებული იქნა აღქმის ფსიქოფიზიოლოგიის განვითარებასთან ერთად, საიდანაც შემდგომში წარმოიშვა ფერის ფსიქოლოგია და სოციოლოგია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს ფერის საერთო ენა, რომელიც ყველა ადამიანს ესმის. ყოველი ფერი გარკვეულწილად მოქმედებს ადამიანზე. ის აისახება მის განწყობილებაზე, ემოციებზე, ქცევაზე და მიდის უფრო შორს - ცვლის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ პარამეტრებს (გულისცემის სიხშირეს, სისხლის წნევას, კანის პოტენციალის დონეს და სხვ), მაგრამ ყოველი ადამიანი ფერზე რეაგირებს თავისებურად და ამაზეა დაფუძნებული ფერებით ტესტირება. ადამიანის ფერთან დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, თუ რომელ ფერს ირჩევს იგი, რომელიც ფერის ცქერა სიამოვნებს და იწვევს მასში შინაგანი კომფორტის შეგრძნებას.

ცნობილმა შვეიცარიელმა ფსიქოფიზიოლოგმა ლუშერმა შეიმუშავა ტესტი, რომელიც ფერების შეფარდების ანალიზის საფუძველზე გვაძლევს საშუალებას, შევადგინოთ ადამიანის საკმაოდ ვრცელი ფსიქოლოგიური პორტრეტი. უფრო მეტიც, ფერების საშუალებით შესაძლებელია დაავადების დიაგნოსტირება, დიაგნოსტირება და მკურნალობა. მაგალითად, გარკვეული ფერების არჩევა, მათთვის უპირატესობის მინიჭება, მიუთითებს გლუვი მუსკულატურის სპაზმების საშიშროებაზე, ხოლო მუქი ფერების ერთდროული უგულებელყოფა ორგანიზმის გადაძაბულობაზე მიგვანიშნებს.

ფერების ფსიქოლოგია ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, წარმოებაში, სკოლაში, სამედიცინო დაწესებულებებში და სხვ. ნათელი გარემო კუნტების ძალას ასტიმულირებს, მაგრამ ხელს უშლის გონებრივ მუშაობას. ცივ შენობაში თბილი ტონებია მისაღები, ცხელ საამქროში კი - ცივ ტონებს აქვს უპირატესობა. მონოტონურულ სამუშაოზე თეთრი ფერი კიდევ უფრო მომქანცველია. წითელ სინათლეში დრო ნელა მიდის, იქ მომუშავე პერსონალს უჭირს საგნების ზომისა და წონის განსაზღვრა. საკონდიტრო მუშაკებს გარკვეული ფერები უქრობს პირში სიტკბოს ჰალუცინაციას, ამავე დროს აუმჯობესებს მათ განწყობას და ზრდის შრომის ნაყოფიერებას. თუ პურის საცხობში კედლებს სპეციფიური ფერით შევღებავთ, ის ფქვილთან შეხებას სასიამოვნოს გახდის, ხოლო გარკვეული ფერის ჭერი ბოსელში და საღორეში ბუზების გუნდებს აგვაცილებს.

თანამედროვე ოფისში დირექტორის კაბინეტში იმ ფერებს ენიჭება უპირატესობა, რომლებიც გონებრივ მუშაობას და ნოვატორობას უწყობს ხელს. ოფისში დაუშვებელია ფერები, რომლებიც ამშვიდებენ და ძილის მომგვრელი ზემოქმედება აქვთ, სამაგიეროდ, საჭიროა ისეთი ფერები, რომლებიც ხაზს უსვამენ პრესტიჟს და იწვევენ დადებით ემოციებს. ოფისის დერეფანი კი ისეთი ფერებით უნდა იყოს შეღებილი, რომელიც მომსახურე პერსონალს აიძულებს იქ დიდხანს არ შეყოვნდნენ, ხოლო იქ სადაც მოსალოდნელია ბევრი ხალხის თავმოყრა, მაგალითად, სალაროსთან, დამამშვიდებელი ფერები უნდა სჭარბობდეს.

60-იან წლებში, აშშ-ში, კანონით იყო აკრძალული სკოლებში ისეთი ფერების გამოყენება, რომლებიც იწვევენ დაღლილობას, ძილიანობას, ძლიერ აღგზნებას ან დეპრესიას.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა ფერებს სამედიცინო დაწესებულებაში, საავადმყოფოში, მაგალითად, სამშობიარო სახლში დაუშვებელია თეთრი ფერი. დროა თავი დავიხსნათ მცდარი აზრისგან, თითქოს თეთრი ფერი ემტერება ბაქტერიებს და ნათელს მატებს ოთახებს. სისუფთავის ხაზგასმა საავადმყოფოებში ზედმეტია, იქ ისედაც ყველაფერი სუფთა უნდა იყოს.

სამშობიაროს მისაღებში, სადაც მშობიარე გადის რეგისტრაციას და ახლობლებს ემშვიდობება, უნდა ჭარბობდეს ფერები, რომლებიც ამშვიდებენ, საზრუნავს აქრობენ და გადავყავართ შინაგან, შესაძლოა, „ილუზიურ“ სამყაროშიც კი. მშობიარობის წინა პალატის ჭერი, კედლები და იატაკი ისეთი ფერებით უნდა იყოს შეხამებული, რომ მშობიარე ქალში გამოიწვიოს ხალისი, ოპტიმიზმი და ამავე დროს, შეუქმნას მას სიმყუდროვის განცდა. მშობიარობის შემდგომ პალატაში იმ ფერებს ენიჭება უპირატესობა, რომლებიც ამცირებენ ჩვილი ბავშვის დაავადების ალბათობას და აჩქარებენ დედის გამოჯანმრთელებას.

ბესო გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

გამოსათხოვარი

ჯუმბერ უთრუთაშვილი

„ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კინოვარი...
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“... (გალაკტიონი).



ჯუმბერ უთრუთაშვილი გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში გავიცანით... მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. მასთან ყოველი შეხვედრა გამორჩეული იყო უბრალოებით, სისადავით, კეთილღიმილიანობით... ასაკით უფროსი იყო და ჩვენზე უფრო გამოცდილი, დახელოვნებული სიტყვასთან ჭიდილში. ერთხანს ჟურნალისტიკაშიც მოღვაწეობდა, გაზეთ „არბოშიკს“ გამოსცემდა და სოფლის ცხოვრების მემატიანედაც გვევლინებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად, საოცარი უბრალოებით გამოირჩეოდა, არასოდეს გვახვევდა თავს საკუთარ გამოცდილებას ან უპირატესობას.. პირიქით, რაღაცნაირად, ძალიან მიამიტური თვალებით იყურებოდა, ყველას ყურადღებით გვისმენდა, მოკრძალებით იტყოდა თავის სათქმელსაც. მერე მივხვდით, ჯუმბერი დიდი ბავშვი იყო, იმდენად ხალასი და ლაღი ბუნება ჰქონდა, „ბატონოთი“ რომ მიმართავდი, უხერხულობდა. სხვა გზას არ გიტოვებდა. მასთან ურთიერთობაში ისეთივე უშუალო უნდა ყოფილიყავი, როგორიც თავად იყო.

რედაქციაში ბოლო პერიოდშიც ხშირად გვსტუმრობდა. საკუთარი ლექსებით გვანებივრებდა. ბავშვივით უხაროდა, როცა გაზეთის ფურცლებზე საკუთარ შემოქმედებას იხილავდა. მოკეცავდა „შირაქს“, უბის ჯიბეში ჩაიდებდა, ხელს აგვიწევდა და ღიმილიანი სახით გვემშვიდობებოდა.

ბოლო დროს მოტყდა, მეუღლის სიკვდილმა მასზე ძალიან იმოქმედა. მოეშვა. აღარც ლექსები მოჰქონდა ჩვენთან, თვითონაც აღარ გვსტუმრობდა. ხანდახან გზაში თუ შევხვდებოდით. როგორც ჩანს, სულის საზრდომ-ლექსმაც მიატოვა და ჩვენთან მოსასვლელი ბილიკიც შეუმოკლდა...

წავიდა და მოგონებებთან ერთად თავისი ლექსები დაგვიტოვა, რომლებიც სავსეა სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულით.

მშვიდობით, ბატონო ჯუმბერ! მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა!

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

ჯუმბერ უთრუთაშვილს!

ნოემბრის ნისლში მთები ისე ჩაყუდებულან, როგორც თქვენეულა თონეში მანდაური დედაკაცები. თითქოს მიწის გულს ჩაჰბღუიან და თავიანთი ჯანიანი ტორებით განგების ნიშანს ეძიებენ. თვალიმც დაგიდგეს, ხორნაბუჯო. ვის შეუცვლია უფლის განაწესი, თქვენ რომ შეცვალოთ. დღეს კიდევ ერთი კენჭი ჩამოგორდა შენი კალთებიდან, საფლავის ლოდივით მძიმე და ცრემლივით მსუბუქი.

არავის ეგონოს შემოდგომის ყავლგასული ფოთლებივით, ნოემბრის ქარებმა გაიყოლეს იგი. ისე როგორც დედის ასაკს არ კითხულობენ, ისე, როგორც მის სიყვარულს არ წონიან გირვანქობით და არ თვლიან ჟამგადასულად, სწორედ ისე უკვდავია ჭეშმარიტი მგოსნის სულიც.

დიდი ქიზიყის შვილო, არბოშიკელო ობოლო ბიჭო, ვინ გასწავლა ამდენი სიყვარული. როგორ დაივანა შენმა სულმა პოეზიაში. ლექსად რამ აგამღერა, ან რამ გაწერინა მწუხრის სტრიქონები. ალბათ, იმიტომ, რომ ზომაზე მეტად ხალასი და თვითმყოფადი, უშუალო და კაცთმოყვარე, მამულის სიყვარულით გასხივოსნებული და პოეზიის სენით შეპყრობილი იყავი.

ბატონო ჯუმბერ, დავესესხები დიდ ოთარ ჭილაძეს და გეტყვი, თქვენისთანა კაცებს „მიწის მარილს“ უწოდებენ, ნაღდებს და უღალატოებს.

როცა დიონისე არეოპაგელს სჯიდნენ სანახაობის ჟინით აღტყინებულ ხალხმრავალ მოედანზე, მსხვერპლმა შენიშნა, თუ როგორ წაუვიდა გული ამ სისასტიკით შეძრულ, თეთრეულით სავსე კალათით მდგომ ახალგაზრდა ქალს, რის შემდეგაც დიონისემ თავისი წაკვეთილი თავი მადლიერების ნიშნად კალთაში ჩაუგორა მის ერთადერთ მოჭირისუფლეს.

ჰოდა, ასეა ეს. თუ ერთი ადამიანის გულის კარი მაინც შეხსენი, თუ ერთი კაცის გრძნობის სიმი მაინც შეარხიე, თუ ერთ სასოწარკვეთილს მაინც მოუფონე და იმედად ექეცი, ფუჭად არ გიმუშაკნია.

უცნაური ბედი კი გარგუნა განგებამ. ხან პოეზიის ხოდაბუნებში განებივრა როგორც შირაქის ველ-მინდვრებში მონანანვე მწყერი, ხანაც მონადირის ტყვია დაგაწია ზურგში. ხან თუ რქაწითელით სავსე ფიალები გაცლევინა, ხანაც წუთისოფლის ბინდისფერობით დაგისერა გული.

ალექსანდრე მაკედონელს, როცა მამამ, ფილიპე მეორემ აჩუქა მისი ცნობილი ცხენი, ახალგაზრდა მხედარს თურმე ძალიან გაუჭირდა მოთვინიერება და გადაწყვიტა, მზისკენ შეეტრიალებინა მისი თავი.

თქვენი მზიანი, უმშვენიერესი ლექსებით პოეზიის მოყვარული მრავალი გული დაიპყარით და მოათვინიერეთ, ბატონო ჯუმბერ. თქვენც მზიანი გზებით გევლოთ მარადიულ სამყოფელში, პოეტო.

ისე კი დღეს, ხორნაბუჯის კალთებს ერთი პატარა, წვრილი კენჭი ჩამოუგორდა საფლავის ლოდივით მძიმე და ცრემლივით მსუბუქი. ბრილიანტიც ხომ პატარაა, მაგრამ ბრილიანტია.

მარინე ცხვედიაშვილი

დედოფლისწყაროს მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი მწუხარებას გამოთქვამს პოეტის

ჯუმბერ უთრუთაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნანა ჭიჭინაძე და დალი გურასპაული ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი პოეტის, მეტრის ნომინანტის

ჯუმბერ უთრუთაშვილის

გარდაცვალების გამო. თავისი ლექსებით არაერთმა თაობამ შეიყვარა და მას საპატიო ადგილი აქვს დამკვიდრებული საქართველოს მწერალთა კავშირში და დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანში“. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯის“ გამომცემლებს და დედოფლისწყაროს მოსახლეობას, ვინც იცოდა ამ პოეტის ფასი.

სათნოების სახლის ბენეფიციარები, დები: ფატი და ლუიზა ზურაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ პოეტის

ჯუმბერ უთრუთაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ სათნოების სახლის დირექტორს - რძალს მარინა ტოკლიკიშვილს.

დედოფლისწყაროს მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი მწუხარებით იუწყება

ზალიკო კოტაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მერიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს

ზალიკო კოტაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფლის მეურნეობის ყოფილი თანამშრომლები: ნანა აფციაური, მერაბ ფიროსმანაშვილი, მაყვალა მამულაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურაბ თეთვაძე, ნანა ჭიჭინაძე, აკაკი სამუკაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი, ავთანდილ სამუკაშვილი, ეთერ სეფიაშვილი, მაყვალა ჯორკოშვილი მწუხარებით იუწყებიან

გელა გოგილაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ნელი ნატროშვილი და ნიაზი ჯანაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ძმა-გივის, დებს: ეთერი და ცისანა პაპაჩაშვილების ოჯახებს

თამრიკო პაპაჩაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ნანა აფციაური, მერაბ ფიროსმანაშვილი, მაყვალა მამულაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურაბ თეთვაძე, ნანა ჭიჭინაძე, აკაკი სამუკაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი, ავთანდილ ჯანაშვილი, ეთერ სეფიაშვილი, მაყვალა ჯორკოშვილი მწუხარებით იუწყებიან

თამრიკო პაპაჩაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ლაშა ბექაურთან შეხვედრა მშობლიურ სკოლაში

არხილოსკალოს საჯარო სკოლას განსაკუთრებული სტუმრები ეწვივნენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროგრამა „ღია სახალისო ფეხბურთის“ ხელმძღვანელი მამუკა კვარაცხელია და ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში, ლაშა ბექაური. მათ მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და სკოლის ეზოში სახალისო სპორტული თამაშები გამართეს.

სკოლაში ჟრიამული და სიხარული იგრძნობოდა. მოსწავლეები დიდი აღტაცებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახალისო სტარტებში, სტუმრები კი თავიანთი გულწრფელი ღიმილითა და სითბოთი კიდევ უფრო განსაკუთრებულს ხდიდნენ ამ დღეს. შეხვედრამ ყველას გულში დაუტოვა დაუვიწყარი ემოციები და შთაბეჭდილებები. სკოლის დირექცია მადლობას უხდის საპატიო სტუმრებს და მომავალშიც სიხარულით ელოდება მსგავსი მომენტების გაზიარებას, რომლებიც ჩვენი მოსწავლეებისათვის მისაბაძ მაგალითებს შექმნიან.

მაია სიმონიძე *(არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორი):* „ერთი შეხვედრა ლაშასთან მაშინ გავმართეთ, როცა გრან-სლემი მოიგო და წარმატებას მიაღწია. მწვრთნელთან, კახა წიკლაურთან ერთად გვყავდა მოწვეული, ეს პანდემიამდე მოხდა. ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეებიც ესწრებოდნენ ამ შეხვედრას. ძალიან თბილი შეხვედრა იყო, ბევრი ჩახუტება და თბილი სიტყვები გავეცით. მაშინვე გვქონდა განცდა, რომ ისტორიულ ფოტოებს ვიღებდით და მისი წარმატებები კიდევ უფრო გაგრძელდებოდა. ის ძალიან მშრომელი, მიზანდასახული და მებრძოლი სულის ადამიანია და დარწმუნებული ვიყავით მის წინსვლაში. ვერ წარმოიდგენთ, როგორი თბილი გულის ადამიანია. არ თამაშობს, ძალიან გულწრფელია, როცა სითბოს და სიყვარულს გამოხატავს. ეს მისი ბუნებრივი რეაქციაა და ბავშვობიდან ასეთი იყო. ჩვენს ხელში გაიზარდა და კარგად ვიცნობთ მის ბუნებას. ასეთი ლაშა გვახსოვს მცირე ასაკიდან და არ შეცვლილა, ახლაც ასეთია... გვიხარია, რომ ამხელა წარმატებებმა მასზე უარყოფითად არ იმოქმედა, არ შეცვალა და „ვარსკვლავურად არ დაავადდა“... ალბათ ასევე

გაგრძელდება... მაშინვე ვიცოდით, რომ ლაშა ამას არ დასჯერდებოდა და ოლიმპიურ მწვერვალებს დაიპყრობდა და საბედნიეროდ, ასეც მოხდა, გამართლდა ჩვენი მოლოდინები და კიდევ ბევრჯერ გაგვახარა. მას შემდეგ ცხადია პანდემიამ და ჩაკეტილობამ ხელი შეგვეშალა მისი ოლიმპიური ჩემპიონობაც სათანადოდ გვეზეიმა და სკოლაში მოგვეწვია. ამიტომ, რადგან პირველი ოლიმპიური ოქროს მოპოვება საყოველთაო იზოლაციას დაემთხვა და მაშინ არც სასწავლო პროცესი იყო სრულყოფილი, შეზღუდული იყო ღონისძიებებიც, მაშინ ჩვენი ეს სურვილი ვერ განვახორციელეთ. გასულ წელსაც ბევრჯერ დავგეგმეთ შეხვედრა, მაგრამ ლაშას გადატვირთული რეჟიმის გამო ვერ ჩავნიშნეთ. ხან ტრავმები ჰქონდა, ხან ვარჯიშები და ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. ამჯერად მოხერხდა მისი ჩამოსვლა და ძალიან გაგვახარა. ლაშას ძალიან ვუყვარვართ, როცა სკოლაში ჩამოდის, აუცილებლად გვნახულობს, ყოველთვის ნახულობს ბავშვებს, შემოესევიან და ეხვევიან ხოლმე. ეს ჩვენთვისაც ძალიან დიდი მოტივაციაა. ყველას უნდა, რომ ლაშასავით დიდი ჩემპიონი და პოპულარული გახდეს. მისი ახალი დარბაზიც დიდი სიხარულია მთელი ჩვენი ზონისთვის. მასწავლებლებსაც დიდი სიხარული და სიყვარული გვაქვს ლაშას მიმართ, ძალიან გვიყვარს და ისიც ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით გვპასუხობს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი კურსდამთავრებული ჩემპიონით. ცხადია ეს ბოლო შეხვედრა არ იქნება და სამომავლოდ სხვა ფორმატის შეხვედრებიც ხშირად გვექნება. ასეთი გეგმები ნამდვილად გვაქვს და მთავარია, მოგვიხერხდეს და შევძლოთ განხორციელება“.

ილია მარტყოფლიშვილი

ხელმარჯვეთა გამოფენა ბათუმში

9—11 ნოემბერს ბათუმში, სამხატვრო სკოლაში ჩატარდა „საქართველოს მქარგველები და ხელმარჯვეების“ ასოციაციის ორგანიზებული გამოფენა, სადაც 25 ავტორის ხელით შექმნილი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. მასში მონაწილეობდა დედოფლისწყაროელი ხელოვანი ლია მაისურაძე, რომელმაც რამდენიმე ნამუშევარი აჭარელ დამთვალიერებელსაც წარუდგინა.

როგორც ლია მაისურაძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, შავი ზღვა მისი დაბადების ადგილია, ხოლო ამჟამინდელი საცხოვრებელი შავ მთასთან, დედოფლისწყაროშია. ამდენად, გამოფენაზე გაიტანა შავი ზღვის პირას მდებარე მისი გუდაუთის სახლის ამსახველი ნაქარგი და ასევე ელიას მთა დედოფლისწყაროდან.

ლია მაისურაძე: „დედოფლისწყაროში საქართველოს სადღეგრძელოს ასე სვამენ: შავი ზღვიდან შავ მთამდე ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოსო. მეც მინდოდა შავი ზღვიდან შავ მთამდე საქართველო წარმომედგინა და ეს ნამუშევრები ზღვისპირეთში წავიღე. ბავშვობა ზღვისპირა სანაპიროზე მაქვს გატარებული, ამდენად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო აჭარაში სტუმრობა. სხვა ემოციებს აღძრავს ჩემში ზღვის სანაპირო და მისი სურნელი. ამიტომ კიდევ ერთხელ დავიმუხტე ამ ემოციებით. აფხაზეთის მონატრების გამო ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ნოსტალგიური და ამაღელვებელია. კმაყოფილი დავბრუნდი, ბევრს მოეწონა ჩემი ნამუშევრები. გამოფენა-გაყიდვა იყო, მაგრამ მე არ ვყიდი ნამუშევრებს. კიდევ ერთხელ დამარწმუნეს, რომ რაღაც სხვანაირს ვაკეთებ. მქარგველებიც აღიარებდნენ ჩემს ნამუშევარს, როგორც რაღაც სხვანაირს და ახალს. მასტერკლასებიც ჩავატარე. ზოგადად, ამ გამოფენამ დამარწმუნა, რომ ქარგვა უნდა გავხადო ჩემი ძირითადი სპეციალობა და აუცილებლად გავაგრძელო.

საერთოდ, თავდაპირველად ქარგვა ჩემთვის დავიწყე, არ მიფიქრია ნამუშევრების ფართო საზოგადოების წინაშე გატანა. მაგრამ ჩემი მეგობრების თხოვნით გავბედე და გამოფენინე. შემდეგ იმხელა ინტერესი წამოვიდა, რომ უკვე ბევრ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა. ეს ჩემთვის პატივია და მადლობელი ვარ ამ ინტერესისა და მხარდაჭერისთვის, ყურადღებისთვის, რომელსაც მუდმივად ვგრძნობ,“

ილია მარტყოფლიშვილი

განათავსეთ გაზეთ „შირაქის“ ფურცლებზე თქვენი
განცხადებები, მილოცვები, სამძიმარი, ნეკროლოგი, მადლიერება
ტექსტი უსურათოდ – 5 ლარი, სურათით – 10 ლარი

ვაკანსია!
შპს „ჯთს რითეილ“-ი აცხადებს ვაკანსიას სოფელ სამრეკლოში მდებარე ბენზინგასამართ სადგურში ჩამსხმელ-ოპერატორის პოზიციაზე. დეტალებისთვის დარეკეთ: **ტელ: 595 42 40 10**

ი ყ ი დ ე ბ ა !
იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელმეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 18.11	სამშაბათი 19.11	ოთხშაბათი 20.11	ხუთშაბათი 21.11	პარასკევი 22.11	შაბათი 23.11	კვირა 24.11
დღე	12°	14°	14°	13°	14°	14°	13°
ღამე	1°	2°	1°	2°	3°	3°	1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი